

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, 2012. მოცემული თარგმანი შეკვეთილ იქნა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა მხარდაჭერის ფონდის დახმარებით (www.coe.int/humanrightstrustfund). აღნიშნული არ ბოჭავს სასამართლოს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მითითება მოცემული დოკუმენტის ბოლოში.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

ივნისი 2012

კური და სხვები სლოვენის წინააღმდეგ [GC] - 26828/06

გადაწყვეტილება 26.6.2012 [GB]

მუხლი 8

მუხლი 8-1

ოჯახური ცხოვრების პატივისცემა

ოჯახური ცხოვრების პატივისცემა

იმ პირთა ბინადრობის დაურეგულირებლობა, რომელთა “ამოშლა” მოხდა მუდმივად მაცხოვრებელთა რეესტრიდან სლოვენის დამოუკიდებლობის შემდეგ; დარღვევა

მუხლი 46

პილოტური გადაწყვეტილება

ზოგადი ღონისძიებები

მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია შექმნას კომპენსაციის მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს ადეკვატურ დაკმაყოფილებას “წაშლილი” პირებისთვის.

ფაქტები – რვა მომჩივანი ადრე გახლდათ როგორც ყოფილი იუგოსლავიის, ისე სლოვენის გარდა ერთ-ერთი მისი შემადგენელი რესპუბლიკის მოქალაქეები. მათ მიიღეს მუდმივი საცხოვრებელი სლოვენიაში, მაგრამ მისი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ან არ მოუთხოვიათ სლოვენის მოქალაქეობა ან მოხდა მათი შუამდგომლობების უარყოფა. 1992 წლის 26 თებერვალს, ახლად მიღებული უცხოელთა კანონის შესაბამისად, მათი სახელები წაიშალა მუდმივი მაცხოვრებელთა რეესტრიდან და ისინი გახდნენ უცხოელები საცხოვრებლის ნებართვის გარეშე. დაახლოებით 25,000 ამ პირთაგან

გახლდათ მსგავს სიტუაციაში. მომჩივანთა მიხედვით, არც ერთი მათგანის ინფორმირება არ მომხდარა რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ და მათ მოგვიანებით გაიგეს იმის თაობაზე რომ ისინი გახდნენ უცხოელები, როდესაც მათ სცადეს განეხლებინათ მათი იდენტიფიკაციის დოკუმენტები. მათი სახელების წაშლას რეესტრიდან ქონდა სერიოზული და ძლიერი ნეგატიური შედეგები: რიგი მომჩივანები გახდნენ მოქალაქეობის არმქონე პირები, როცა რიგი მათგანის გამოსახლება მოხდა ბინებიდან, არ შეეძლოთ ემუშავათ ან ემგზავრათ, დაკარგეს ყველა პირადი ქონება და ცხოვრობდნენ წლები თავშესაფრებსა და პარკებში. ნაწილი მათგანი კი დააკავეს და მოახდინეს დეპორტაცია სლოვენიაში. 1999 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა უცხოელთა კანონის რიგი დებულება, ისევე როგორც ავტომატური “წაშლა” რეესტრიდან, მას შემდეგ რაც დაადგინა რომ სადავო კანონმდებლობის შესაბამისად, ყოფილი იუგოსლავიის მოქალაქეები იყვნენ უფრო ცუდ სამართლებრივ მდგომარეობაში ვიდრე სხვა უცხოელები, რომლებიც ცხოვრობდნენ სლოვენიაში სანამ მოხდებოდა დამოუკიდებლობის გამოცხადება, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც დაარეგულირებდა მათი სამართლებრივი სტატუსის გარდაქმნას სლოვენიაში მცხოვრები უცხოელების სტატუსში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა ახალი კანონის მიღება რათა დაერეგულირებინა “წაშლილთა” სიტუაცია. 2003 წლის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა ახალი კანონის გარკვეული დებულებების არაკონსტიტუციურობა, კერძოდ აღნიშნული დებულებები არ ანიჭებდნენ “წაშლილებს” რეტროაქტიულ მუდმივ საცხოვრებლის უფლებებს, არც არეგულირებდნენ იმათ სიტუაციას ვისი დეპორტაციაც მოხდა.

მის 2010 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებაში სასამართლოს პალატამ ერთხმად დაადგინა რომ ადგილი ქონდა მე-8 და მე-13 მუხლების დარღვევას (იხილეთ საინფორმაციო ფურცელი ნო. 132).

კანონი

მუხლი 34 (დაზარალებულის სტატუსი): გადაწყვეტილებები და ღონისძიებები, რომლებიც მომჩივანების სასარგებლო იყო არ გახლდათ პრინციპის დონეზე საკმარისი რათა ჩამოეშორებინა მათთვის “დაზარალებულის” სტატუსი. საქმეებში რომლებიც ეხება მოქალაქეობის არმქონე პირთა დეპორტაციასა ან ექსტრადიციას მომჩივანთა დარჩენის რეგულირება ან ის ფაქტი რომ მომჩივანი აღარ იყო დეპორტაციის ან ექსტრადიციის საშიშროების ქვეშ პრინციპის დონეზე იყო “საკმარისი”. ამის მიუხედავად, მომჩივანის “დაზარალებულის” სტატუსი აგრეთვე შეიძლება იყოს დამოკიდებული კომპენსაციის ზომაზე, რომელიც უზრუნველყოფილია ადგილობრივ დონეზე, სადაც ეს შესაფერისია ან თუნდაც იმის შესაძლებლობაზე რომ მოხდეს მოთხოვნა და მიღება კომპენსაციის მიყენებული ზიანისთვის. მოცემული საქმის ერთ-ერთი მახასიათებელი გახლდათ ფართომასშტაბიანი წუხილი ადამიანის უფლებებთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშვა “წაშლის” გამო. მეტიც, ეს სიტუაცია გაგრძელდა თითქმის ოცი წელიწადი. ადამიანის უფლებების დარღვევების აღიარება და მუდმივი საცხოვრებლის უფლების მინიჭება ექვსი მომჩივანისთვის არ წარმოადგენდა “შესაფერის” და “საკმარის” დაკმაყოფილებას მათთვის, იმ ხანგრძლივი დროის გათვალისწინებით, რომლის დროსაც ისინი განიცდიდნენ დაუცველობას და სამართლებრივი ბუნდოვანებას და “წაშლის” შედეგების სიმძიმეს. მეტიც, არც ერთი მათი მოთხოვნა კომპენსაციაზე ამ დროისთვის არ ყოფილა წარმატებული. კომპენსაციის მიღების პერსპექტივა როგორც ჩანს, გარკვეული დროით, წარმოადგენდა ძალზედ შორს რათა ჩათვლილიყო რელევანტურად. შესაბამისად, მომჩივანებს, რომლებსაც მიენიჭათ მუდმივი საცხოვრებლის უფლებები, კვლავ შეეძლო ემტკიცებინათ რომ იყვნენ სავარაუდო დარღვევების “დაზარალებულები”.

დასკვნა: დაზარალებული სტატუსი დადასტურებულია (ერთხმად).

მუხლი 8: “წაშლა” და მასთან დაკავშირებულ მოქმედებებს ქონდათ უარყოფითი ეფექტი მომჩივანებზე და აღნიშნული ეფექტი კვლავ გრძელდება, რაც წარმოადგენს ჩარევას მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაში. მომჩივანთა სახელების რეესტრიდან “წაშლა”, 25,000 ყოფილი იუგოსლავიის სხვა მოქალაქეების სახელებთან გამოიწვია დამოუკიდებელი კანონმდებლობის ორმა დებულებამ ერთად. ორი შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტი ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. მიუხედავად ამისა, მომჩივანებს გონივრულად არ შეიძლება ქონდათ მოლოდინი რომ მათი, როგორც უცხოელების სტატუსი შეიძლება უკანონოდ გაეხადა მათი ცხოვრება სლოვენიის ტერიტორიაზე და გამოიწვევდა ისეთ ექსტრემალურ ღონისძიებას, როგორიცაა “წაშლა”. მეტიც, “წაშლა” განხორციელდა ავტომატურად და წინასწარი შეტყობინების გარეშე და მომჩივანებს არ მიეცათ შესაძლებლობა გაესაჩივრებინათ იგი კომპოტენტური ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წინაშე ან მიეცათ ახსნა თუ რატომ არ მიმართეს სლოვენიის მოქალაქეობისთვის. ამასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა რომ “წაშლილთა” სახელების გადატანას მუდმივად მაცხოვრებელთა რეესტრიდან საცხოვრებლის უფლების არ მქონე უცხოელების რეესტრში არ ქონდა რაიმე საფუძველი ადგილობრივ კანონმდებლობაში. ბოლოს, არსებობდა სამართლებრივი ვაკუუმი იმ პერიოდში მოქმედ კანონმდებლობაში, რადგან სახეზე არ გვქონდა რაიმე პროცედურა რომლის მეშვეობითაც მომჩივანებს შეეძლოთ მიემართად მუდმივ საცხოვრებლის უფლებისათვის. რელავენტურ საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ პრაქტიკას აკლდათ მოთხოვნილი სტანდარტები განჭვრეტადობისა და ხელმისაწვდომობის. უნდა იქნეს აღიარებული რომ იურიდიული სტატუსის კანონი მიღებულ იქნა რათა დაერეგულირებინა “წაშლილთა” სიტუაცია. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა რომ ამ აქტის გარკვეული დებულებები იყო არაკონსტიტუციური და მას დასჭირდა შვიდ წელიწადზე მეტი რათა მიეღო ეს გადაწყვეტილება დაადგინა რა ზოგადი ღონისძიებები, რომლებიც უნდა შესრულებულიყო. მან აგრეთვე დაადგინა რომ როგორც მინიმუმ 2010 წლამდე ადგილობრივმა სამართლებრივმა სისტემამ ვერ უზრუნველყო დაერეგულირებინა ნათლად “წაშლის” შედეგები და ბინადრობის სტატუსი იმ პირების რომლებიც გახდნენ მისი ობიექტები. შესაბამისად, მომჩივანებს არა მარტო არ შეეძლოთ განეჭვრიტად ის ღონისძიებები რომლებიც მათ გაასაჩივრეს, არამედ მათ აგრეთვე არ ქონდათ საშუალება წარმოედგინათ ის გავლენა რასაც ისინი იქონიებდნენ მის პირად ან/და ოჯახურ ცხოვრებაზე. შესაბამისად, განხილული ჩარევა არ გახლდათ კანონის შესაბამისი.

ამასთან ერთად, მოცემული საქმის ფაქტური გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ აგრეთვე მიიჩნია აუცილებლად განეხილა რამდენად მოცემული ჩარევა ემსახურებოდა კანონიერ მიზანს და იყო პროპორციული მასთან მიმართებაში. დამოუკიდებლობის კანონმდებლობის მიზანი და ის ღონისძიებები რომლებიც მიღებულ იქნა მომჩივანების მიმართ არ შეიძლება გაიმიჯნოს ყოფილი იუგოსლავიის დაშლის კონტექსტიდან, 1991 წლის სლოვენიის დამოუკიდებლობისაგან და და ეფექტური პოლიტიკური დემოკრატიის დაფუძნებისგან, რაც გულისხმობდა “სლოვენიის მოქალაქეების კორპუსის” ჩამოყალიბებას საპარლამენტო არჩევნებისათვის. ხელისუფლების ორგანოებს მიზანი ქონდათ შეექმნათ “სლოვენიის მოქალაქეების კორპუსი” და დაეცვათ ქვეყნის ნაციონალური უსაფრთხოების ინტერესები, ლეგიტიმური მიზანი კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მიზნებისათვის. ამასთან ერთად, ის თუ რამდენად განხილული ღონისძიებები იყო პროპორციული, სამართლებრივი ვაკუუმმა დამოუკიდებლობის კანონმდებლობაში წაართვა მომჩივანებს მათი ლეგალური სტატუსი, რაც ადრე საშუალებას აძლევდა მათ ფართო უფლებებისადმი ხელმისაწვდომობას. უცხოელს, რომელიც კანონიერად ცხოვრობს ქვეყანაში შეიძლება ქონდეს სურვილი გააგრძელოს ცხოვრება ქვეყანაში მოქალაქეობის მიღების გარეშე. თუმცა, სლოვენიის კანონმდებლობამ არ გაითვალისწინა დებულებები, რომლებიც საშუალებას მისცემდა ყოფილი იუგოსლავიის მოქალაქეებს რომლებსაც ქონდათ სხვა რესპუბლიკის მოქალაქეობა დაერეგულირებინათ მათი საცხოვრებელი სტატუსი თუ ისინი

გადაწყვეტდნენ არ მიეღოთ სლოვენიის მოქალაქეობა ან არ მიუმართავთ ამისთვის. მსგავსი დებულებები არ გააუფასურებდნენ კანონიერ მიზანს. შესაბამისად, ღონისძიებები რომლებიც გასაჩივრდა არ ყოფილა არც კანონთან შესაბამისი და არც აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერი მიზნის მისაღწევად ეროვნული საუფრობის დასაცავად.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად)

მე-8 მუხლთან ერთად განხილული მე-14 მუხლი: ადგილი ქონდა განსხვავებულ მოპყრობას ორ ჯგუფს შორის – “რეალური” უცხოელები და სლოვენიის გარდა ყოფილი იუგოსლავიის სხვა რესპუბლიკების მოქალაქეები – რომლებიც იყვნენ მსგავს სიტუაციაში საცოვრებელთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. მოპყრობის მოცემულმა გასხვავებამ, რომელიც დაფუძნებული იყო მოქალაქეობაზე, დააკისრა არაპროპორციული და გადამეტებული ტვირთი ყოფილი იუგოსლავიის მოქალაქეებზე.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად).

სასამართლომ აგრეთვე დაადგინა მე-8 მუხლთან ერთად განხილული მე-13 მუხლის დარღვევა.

მუხლი 46: რაიმე დამკვიდრებული ადგილობრივი პრაქტიკის არ არსებობის პირობებში, ნაადრევი იქნება ამ ეტაპზე იმის განხილვა თუ რამდენად მთავრობის მიერ გატარებულ რეფორმებს და გარკვეულ ნაბიჯებს ქონდათ დაკმაყოფილების შედეგი საცოვრებლის სტატუსთან დაკავშირებით “წაშლილებისთვის”. ნებისმიერ შემთხვევაში, “წაშლილთა” მთელ კატეგორიას არ ეძლეოდა შესაძლებლობა მიეღოთ კომპენსაცია მათი ფუნდამენტური უფლებების დარღვევისათვის. მეტიც, გასაჩივრებული სიტუაციის გაანალიზება სცდება მარტო მომჩივანების ინტერესებს და მოითხოვს საქმის განხილვას აგრეთვე გასატარებელი ზოგადი ღონისძიებების პერსპექტივიდან რომლებიც უნდა განხორციელდეს სხვა პოტენციურად შემხებლობაში მყოფი პირების ინტერესების გათვალისწინებით. მოცემული საქმე შესაბამისად ექვემდებარება საპოლოტო გადაწყვეტილების მიღების პროცედურას. მხოლოდ მცირე მსგავსი საჩივრები წარდგენილი “წაშლილი” პირების არის ამჟამად განხილვის პროცესში სასამართლოს წინაშე, მაგრამ სისტემური, სტრუქტურული ან მსგავსი დარღვევების კონტექსტში მათი რაოდენობა ალბათობით გაიზრდება საგრძნობლად. შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფომ, ერთი წლის ვადაში უნდა შექმნას ად ჰოც ადგილობრივი კომპენსაციის მექანიზმი. ყველა მსგავსი საჩივრის განხილვა შეჩერებულ იქნება მანამ სანამ არ შეიქმნება მოცემული მექანიზმი.

მუხლი 41: 20,000 ევრო მორალური ზიანისთვის მიენიჭოს ექვსი მომჩივანისგან თითოეულს, რომელთა საქმეც მიჩნეულ იქნა დასაშვებად; მატერიალური ზიანისთვის კომპენსაციის საკითხი დამატებით იქნას განხილული.

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. მოცემული თარგმანი შეკვეთილ იქნა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა მხარდაჭერის ფონდის დახმარებით (www.coe.int/humanrightstrustfund). აღნიშნული არ ბოჭავს სასამართლოს და სასამართლო არ იღებს რაიმე პასუხისმგებლობას მის ხასისხზე. აღნიშნული შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს HUDO-ის პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან

ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელსაც სასამართლომ გაუზიარა იგი. აღნიშნული შეიძლება კვლავ იქნეს ნაწარმოები არაკომერციული მიზნებისთვის იმ პირობით რომ საქმის სრული დასახელება იქნება მითითებული, მოცემული საავტორო უფლებისა და ადამიანის უფლებათა მხარდაჭერის ფონდზე მითითებით. თუ განზრახულია აღნიშნული თარგმანის რაიმე ნაწილის კომერციული მიზნებისთვის გამოყენება, გთხოვთ დაუკავშირდეთ publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.

Click here for the [Case-Law Information Notes](#)